

რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 30 ივნისის არჩევნებისთვის

წინამდებარე კონცეფცია იქნება ჩემი სამოქმედო გეგმა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში. ჩემი მეორე ვადით კენჭისყრის გადაწყვეტილებაც განპირობებულია იმით, რომ წინა გეგმით დასახული ძირითადი მიზნები და ამოცანები შესრულებულია ფაკულტეტის პერსონალის თანადგომით და სწორედ ამ მხარდაჭერაზე დაყრდნობით ვაპირებ ფაკულტეტის საქმიანობის წარმართვას ისევ იგივე ორიენტირებით. კერძოდ, გეგმა ისევ და ისევ ეფუძნება ძირითად საუნივერსიტეტო პრინციპს - უნივერსიტეტი არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობა და ადმინისტრაციის ერთადერთი მოვალეობაა მათთვის სწავლებისა და სწავლის მაქსიმალურად კომფორტული და ნაკლებად პრობლემური გარემოს შექმნა. დღესდღეობით, ყველანაირი მახასიათებლით, ჩვენი ფაკულტეტი უპირობო ლიდერია არა მარტო ჩვენს უნივერსიტეტში, არამედ საქართველოში და კავკასიის რეგიონშიც, ხოლო რიგი მიმართულებებით - ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. ფაკულტეტი უკვე ჩამოყალიბდა როგორც კონკურენტული და ცნობადი საერთაშორისო სუბიექტი და უკვე დროა ამან, თავის მხრივ, ადექვატური ასახვა ჰპოვოს მისი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებაში. ამ ძირითადი მიზნების განსახორციელებლად მომდევნო ოთხ წელიწადში დაგეგმილია შემდეგი ქმედებები სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრირების მიმართულებით:

1. სწავლისა და სწავლების მიმართულება:

- ფაკულტეტის ძირითადი ამოცანაა სტუდენტებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. 2020-2021 წელს ჩვენი პროგრამების უმეტესობას ელის გეგმიური აკრედიტაცია და ვიმედოვნებ, რომ ამ პროცესს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდებით. ამის დასტურია ჩვენი ფაკულტეტის ორი საბაკალავრო პროგრამის (ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები) მიერ ამერიკული ABET აკრედიტაციის ყველა საფეხურის წარმატებით გავლა. ამასთან ერთად აღსანიშნავია ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამის ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიცირებისთვის მომზადება. ჩვენ ყველანაირად წავახალისებთ

საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო -კვლევითი პროექტების განხორციელებასა და სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას. ეს მიდგომები ავტომატურად გაზრდის ჩვენი ფაკულტეტის დიპლომის პრესტიჟს, რაც სამომავლოდ გარანტიაა ნიჭიერი სტუდენტების მოზიდვისათვის.

- სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად უაღრესად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარება. ამ მხრივ ჩვენი ფაკულტეტის პროფესურას მართლაც უნიკალური შესაძლებლობა აქვს გააგრძელოს ამერიკის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (სდსუ) მიერ განხორციელებული ოთხივე ინგლისურენოვანი პროგრამა (ქიმია, კომპიუტერული მეცნიერებები, ელექტრონიკა და ელექტრონული ინჟინერია; კომპიუტერული ინჟინერია). ეს პროგრამები დაგვჭირდება უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად და სხვადასხვა სახის გარე დაფინანსების მობილიზაციისთვის, რაც ისევე და ისევე ჩვენი აკადემიური პერსონალის ფინანსირებისა და სტუდენტებისთვის უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნისთვის გამოგვადგება. უკვე წელს ჩვენი სამი ინგლისურენოვანი პროგრამა დაფინანსდა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი გრანტით (300 ათას ლარზე მეტი საერთო ოდენობით) რაც სრულად მოხმარდება ამ პროგრამების იფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და პროფესორების ანაზღაურებას.
- კიდევ ერთი შედეგი სდსუ-თან თანამშრომლობისა არის და მომდევნო წლებში იქნება ჩვენი ფაკულტეტის იფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც უკვე სამი წელია აქტიურად მიმდინარეობს, კერძოდ, ნაწილობრივ განახლებულია თითქმის ყველა დეპარტამენტის აღჭურვილობა. ეს შესაძლებელი გახდა სან-დიეგო საქართველოსგან გადმორიცხული ფაკულტეტის საკომპენსაციო თანხების ფაკულტეტის ბიუჯეტში ინტეგრირებით (მაგალითად, წელს ამ წყაროდან ფაკულტეტი მილიონამდე ლარს იღებს). ახლა მხოლოდ საჭიროა ძალისხმევა ამ ფინანსური შესაძლებლობის ჩვენი ფაკულტეტის საჭიროებებისთვის მაქსიმალურად ეფექტურად გამოსაყენებლად.
- დრომ და გაჭირვებამ მოიტანა და ელექტრონული და დისტანციური კომპონენტების დახვეწის და დანერგვის გადაუდებელი აუცილებლობაც დადგა. ჩვენმა პერსონალმა ყველა მიმართულებით აითვისა სწავლების ეს მეთოდი და უკვე მოვიდა ამ კომპონენტის ჩვეულებრივი სწავლების რეჟიმში ინტეგრირების დრო. ვფიქრობ, რომ ეს არის მექანიზმი, რომელიც ექსტრაორდინალური ვითარებების გარდა უნდა გამოიყენებოდეს აკადემიური პერსონალის უცხოეთში მივლინებების შემთხვევაში, აგრეთვე სტუდენტებისთვის ონლაინ კონსულტაციებისა და მათ მიერ გამოტოვებული სხვადასხვა აქტივობების აღდგენის მიზნით.
- მიზანშეწონილია ფაკულტეტზე მოქმედი საბავშვო უნივერსიტეტის სამიზნე ჯგუფების გაფართოება, კერძოდ, ბოლო დრომდე აქცენტი კეთდებოდა პოპულარულ

ლექციებზე მომავალი სტუდენტების მასობრივი მოზიდვისთვის. ბოლო წლებში ამ აქტივობებს დაემატა მუშაობა განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებთან მათი ჩვენს ფაკულტეტზე მოზიდვის მიზნით. მიმდინარეობს რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან აქტიური თანამშრომლობა მოსწავლეთა ოლიმპიადების შესარჩევი ტურების ამოცანების შემუშავებასა და ნაკრები გუნდების საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის მომზადება/დაკომპლექტებისთვის ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე სამ საგანში: მათემატიკა, ფიზიკა და ბიოლოგია.

2. სამეცნიერო განვითარების მიმართულება:

ფაკულტეტის საკვანძო მიზანია თანამედროვე ახალ ცოდნაზე დამყარებული მიდგომების დანერგვა, მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება და ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე. ამ ზოგადი სტრატეგიიდან გამომდინარე აუცილებელია:

- საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში აღიარებული მაღალი ხარისხის კვლევითი პროდუქტის მნიშვნელოვანი და განუხრელი ზრდა. ამ მიზნით წინა წლებში დაინერგა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ცნობადი სამეცნიერო პროდუქციის შემქმნელი აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები, მაგალითად, იმპაქტ-ფაქტორიანი ან რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ანდა პატენტებით სერვისის ჩანაცვლების შესაძლებლობა, გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში აკადემიური პერსონალისთვის საპრემიო თანხის გადახდა. წელს უკვე დაგეგმილია ამ მიზნით გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც საშუალებას მოგვცემს პრემირების თანხა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ადექვატური გავზადოთ.
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების მხრივ მკვეთრად გასაუმჯობესებელია მიდგომები. იმის მიუხედავად, დაწესებულია სოლიდური ფულადი ჯილდოები პრეზენტაციების კონკურსში გამარჯვებულებისთვის, ვფიქრობ ეს არაა საკმარისი. მიზანშეწონილი იქნებოდა საუნივერსიტეტო სტუდენტური პროექტებისთვის გამოყოფილი თანხების გადამისამართება ამ მიმართულებით. ეს საშუალებას მოგვცემდა სტუდენტური კვლევების და თვითონ კონფერენციების უფრო ორგანიზებულად ჩასატარებლად და სტიმულირების ეფექტური ინსტრუმენტების მსამუშაველად.
- საჭიროა გაცვლითი პროგრამების უფრო მეტად წახალისება სტუდენტების განათლებისა და ახალგაზრდა მკვლევარების ტრენინგისთვის/განვითარებისათვის. ასეთი პროგრამები უკვე არსებობს თსუ-სა და ლაკვილას (იტალია), აგრეთვე თსუ-სა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის. მსგავსი პროექტები აგრეთვე

რეალიზდება უნივერსიტეტის პროფესორის მიერ პირადი კონტაქტების საფუძველზე. აუცილებელია ამ პროექტების რეალიზებაში მაქსიმალური დახმარება, შეჩერებული პროექტების ამოქმედება, რეკლამირება, და ამ ყველაფრის ადეკვატური ასახვა ფაკულტეტის ვებგვერდზე.

- მნიშვნელოვანი საკითხია სტუდენტებისათვის ერთიანი სამუშაო სივრცის გამოყოფა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაა - როდესაც უფროსი სტუდენტები უმცროსებთან ერთ სივრცეში მუშაობენ, ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ. ამ მხრივ უნივერსიტეტის მეორე კორპუსის რემონტი დიდი შვებაა და უკვე მომავალი წლისთვის გვექნება მთლიანად განახლებული ინფრასტრუქტურა და სივრცეები სამი დეპარტამენტისთვის (ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია). საფაკულტეტო სახსრებიდან იგეგმება სასწავლო აღჭურვილობისა და ავეჯის მთლიანი ჩანაცვლება და სტუდენტების კომუნიკაციისთვის თანამედროვე გარემოს შექმნა. წელს ასევე გვინდა ბიოლოგების სივრცეში მსგავსი სამუშაოების დამთავრება იმ გათვლით, რომ წლის ბოლოს ჩვენი ყველა პროგრამა აკრედიტაციის პროცესს ყველანაირად გამართული შეხვდეს.

3. ადმინისტრირების მიმართულება:

- ჩვენი ფაკულტეტის პროფილით შემოერთებულ ინსტიტუტებთან სწორი კოორდინაცია შესაძლებლობას ქმნის, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში ერთიანი პოზიციით გამოვიდეთ ჩვენთვის საჭირობოტო მრავალ საკითხზე: იქნება ეს ქვეყნის განათლების და მეცნიერების პოლიტიკაში არსებული ტენდენციების ჩვენი დარგების სწორი განვითარებისთვის დაგეგმვა და ერთიანი საუნივერსიტეტო პოზიციის შემუშავება თუ უნივერსიტეტის მასშტაბით პროფესორის არათანაბარი ანაზღაურების პრობლემები.
- დღესდღეობით სრული სახელმწიფო დაფინანსებით მხოლოდ ოთხ მიმართულებაზე მიმდინარეობს ჩარიცხვა, მაშინ როცა ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორცაა გეოგრაფია, გეოლოგია, კომპიუტერული მეცნიერებები, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და ეკოლოგია მხოლოდ სტუდენტებისგან მოზიდულ სახსრებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ განათლების სამინისტროსთან აქტიური მუშაობაა საჭირო, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ნაწილობრივ მაინც სახელმწიფო დაფინანსებაზე იყოს გადაყვანილი. გარდა იმისა, რომ ეს მნიშვნელოვან შეღავათს მისცემს ქვეყნისთვის პრიორიტეტული დარგების შემსწავლელ სტუდენტებს, ასევე დაეცემა სწავლების და სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებასაც.

- ბიუჯეტის ოპტიმიზაციის კუთხით ბევრია სამუშაო და გამონათავისუფლებული სახსრები ჩვენი ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებების სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებისთვისაა მისამართი. კერძოდ, პრიორიტეტულია ბიოლოგიის, ქიმიის და გეოლოგიის დეპარტამენტებისთვის რეაქტივებისა და ქიმიური აღჭურვილობის შექმნა-განახლება, კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის დაფინანსება და კომპიუტერული კლასების განახლება, აგრეთვე სასიცოცხლოდ აუცილებელია ფაკულტეტის საერთო საექსპედიციო ბაზის შექმნა ტაბახმელაში, ამ მიზნით ფინანსური პრობლემები მოხსნილია, საჭიროა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღება უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ საჭირო საექსპედიციო ფართობის და საცხოვრებელი ფართის გამოყოფისთვის.
- აღრიცხვიანობის გამარტივება: პროფესურას სურვილის შემთხვევაში ექნება ბაზებზე ნაწილობრივი წვდომა უწყისების ელექტრონულად შესავსებად და სტუდენტებზე ინფორმაციის მოსაძიებლად. წელს განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა დისტანციური სერვისების მოხერხებულობა და მოქნილობა ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში. ამ მიმართულებით დაიგეგმება ტრენინგები და პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად მოხდება დისტანციური აქტივობებისთვის საჭირო აპარატურით აღჭურვა.
- აუცილებელია ფაკულტეტის ვებგვერდის სრულყოფა და თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მომზადება, ძირითადი ინფორმაციის ინგლისურ ენაზე დუბლირება, რამაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პარტნიორებისა თუ პოტენციური უცხოელი სტუდენტებისთვის.
- შემუშავებული იქნება მიდგომები დეპარტამენტებისთვის კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებისა და ფუნქციების გაზრდისთვის.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
რამაზ ხომერიკი